ᲙᲕᲐᲚᲘ

წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი — მეოთხმეტე

№ 2 — ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1904 Წ. — № 2

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საეკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

რედაქციის კანტორა დიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაური.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: კვირიდან კვირამდე (ფელეტონი).—ი, ს. ფანცხავას «თხზულებანი», მ. მარილაძისა.—*** (ლექსი) ბ. ახოსპირელისა.—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა.—კუბო (მოთხრობა) თარგ. ბარონისა.—კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს, თარგ. ლ. ელიავასი.— განცხადებანი.

კვირიდან კვირამდე

(ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ)

დრამატიული საზოგადოება და „ღალატის“ ღალატი.—კუკიიდან რეჟისორობა.—კონკა და პირუტყვთა მფარველი საზოგადოება.—კიდევ ვასილ წერეთელი.

ჩვენში და საზოგადოთ ყველგან მიღებულია „ღალატი“. უღალატოთ ჯერ არაფერი გაკეთებულა. სატრფო—სატრფოს ღალატობს, ცოლი—ქმარს, ქმარი—ცოლს, მეგობარი—მეგობარს, გონება—ბ. გოგიჩაიშვილს, პოეტი—ნიჭს, ნიჭი—პოეტს, რედაქტორი—თავის ჟურნალ-გაზეთს, თფილისის ქალაქის გამგეობა—საკეთილო საქმეს, არტისტი—როლს, „ცნობის ფურცელი“—დროს, „ივერია“—დოს, „კვალი“.... „კვალს“ კი...

მაგრამ დრამატიულ საზოგადოებამ ამ მხრით ყველას გადაამეტა. მან დაამტკიცა ღალატის—ღალატიც შეიძლებაო და უღალატა—„ღალატს“. „ჩვენი ნებაა და არ დავდგამთ; აბა, თუ ბიჭები ხართ და ქუდი გხურავთ, გვაიძულეთო. ნუ გაგვახელებთ, მის ამარა, დაწყნარდით, თორემ ვიდრე სომხები, ფრანგები, თათრები, ურიები და ჯანდაბა-დოზანელები არ დასდგავენ, ჩვენ ხელსაც არ მოვკიდებთო.“

დიახ, ვიცით, პატივცემულო გამგეობავ, რომ თქვენი „მერანი“ უთავოა და საითაც თქვენი სურვილია, თავს იქით აბამთ. განა არ ვიცით?!

* *

ჩვენ ისიც კი ვიცით, რომ არა ნაკლებ ღალატობს არტისტებს რეჟისორი. როდესაც ქართულ თეატრში რეპეტიციაა, თურმე, ნუ იტყვით, ეს პატივცემული პირი კუკიიდან თუ საიდანღაც რეჟისორობს. მე, სწორეთ მოგახსენოთ, არ მეგონა თუ ნახევარ ვერსის სიშორიდან რეჟისორობა შესაძლებელი იყო. ამას ჩვენ აღვნიშნავთ,—ისტორიისთვის დიდ მნიშვნელოვანია.

* *

და კიდევ გაოხრებას ნუ მოაკლებ... უკაცრავად... და მეოხებას ნუ მოაკლებ „ცხენუკას“. (სახოკიას ლექსიკონით, ხოლო ჩვენებურათ—კონკას). დასწყევლოს ეშმაკმა, მართლა რომ ცხენუკაა. ბატონო, აქაოდა გაუგიათ „ეკონომიაო“ დილიდამ საღამომდის ორი ჩამომხმარი ცხენი ათორკიალებს დანჯღრეულ ცხენუკას. როგორც გავიგეთ ქერსაც ძლიერ ცოტას აჭმევენ... ესეც „ეკონომიაოო“. კაცო და ცხენს რა შავი ქვა ესმის „ეკონომიისა“. ბოდიშს ვიხდი თბილისის გამგეობასთან და ვირს კი ესმის. ვირი უსმენ-უჭმელი იმუშავებს,—თუ არ მოკვდა. ვირი დინჯი ცხოველია.... ვირი—ჩუმია როგორც ვირი. მე გირჩევდით ვირები შეგებათ, მაგრამ უბედურება ეგ არის, რომ „ცხენუკა“ „ვირუკად“ გადაიქცევა და ჩვენ ეშმაკმა დაგვიფაროს, რომ აქაო და „ეკონომიაო“ ვირუკაში ჩავსხდეთ.

* *

ცხენუკა რომ მუდამ და ყველგან სწორი გზით დადის ამას ამტკიცებს პირუტყვთა მფარველი საზოგადოება. როგორ? იკითხავთ. როგორ და აი ასე: ეს პატივცემული პირუტყვთა მფარველნი გაფაციკებით თვალ-ყურს ადევნებენ მედროგეებს, მეპავოსკეებს და სხვათა. თუ ერთი მათგანის პირუტყვმა წაიბორძიკა პოლიციაში მიყავთ. მე მინახავს ყირამალა დებული ცხენუკა რომელზედაც ქუჩის ბიჭები შემდეგ ლათაიას მღეროდენ:

„ლაფში ჩაფლული ცხენუკა,
დილლი თალა ლალე,
კუდით ეწევა ცხენს ლუკა,*)
შენ-კი გენაცვალე“.

დიახ, ცხენუკა მინახავს ამ გვარ სასაცილო მდგომარეობაში, მაგრამ სწორეთ მოგახსენოთ, პოლიციაში კი არ მინახავს. ალბათ პირუტყვთა მფარველი საზოგადოება იფარავს. ეჰ, შვილოსა

*) საწყალი ლუკა! ი ევ კეჩერი უნდა ეწვალოს.

ასოთ-ამწყობი.

ერთი ხიდან არ არიან გამოჭრილები?! თბილისის გამგეობავ, კურთხეულ იყოს საქმენნი შენნი.

* *

დიდო ვასილ წერეთელო! დიდება გონებასა შენსა, რამეთუ გვასმინე შოთა რუსთაველი მნიშვნელოვანი არსო, თუმცა კი, შესაძლებელია ღირსიც არ ბრძანდებოდით მისი ხსენებისა. „შოთა რუსთაველი ყველა დროს ეკუთვნის, როგორც მზე, იგიც საუკუნოა და დაუსაბამო. ბრწყინავდა წარსულში, ბრწყინავს ეხლა და გაანათებს მომავალსაც“. ეს ხომ ვიცით მაგრამ შენს თავში როდის-ღა ჩაანათებს, რომ ჩვენ რუსთაველს ვიცნობთ. ვფიცავთ „შურდულის“ შემქნელ-მშობელს და შენს უწმაწურ გადამლაშებულ ლანძღვას, რომ ვიცნობთ. გვადროე შენი ჭირიმე...

ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“

გასული წლის ბოლოს ქართულ ენაზე დაიბეჭდა, სხვათა შორის, ერთი გვარიანი მოზდილი წიგნი, რომლის შესახებ მე მსურს მკითხველს ვრცელათ მოველაპარაკო. წინდაწინვე უნდა განვაცხადო, რომ ის წიგნი, რომელზედაც მე ახლა ვლაპარაკობ, არც შინაარსის და არც გარეგანი ფორმის მხრით, არაფერს შესანიშნავს არ წარმოადგენს, ასე რომ თავის თავათ იგი ჩვენი ლიტერატურისათვის სრულიად უნაყოფო დარჩება. ეს წიგნი არის ბ-ნ ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“. სანამ თვით „თხზულებათა“ დაწვრილებით განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია ბ-ნ ი. ფანცხავას პიროვნების გაცნობა, რასაკვირველია, მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს პიროვნება მის ლიტერატურულ მოღვაწეობაში იხატება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ აქედან გავიცნობთ აგრეთვე ამ ახალ გამოცემულ „თხზულებათა“ მოკლე ისტორიასაც.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ბ. ფანცხავა ამ რვა-ცხრა წლის წინეთ გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. ყურადღების ღირსია ამასთანავე ის გარემოება, რომ, პირველი დრო გამოშვებით გამოცემა, რომელმაც ბ. ფანცხავას გაუწია სტუმარმოყვარეობა და მისი გონების ნაწარმოები თავისს მკითხველებს მიაწოდა, იყო „კვალი“. აქვე უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ „კვალის“ დაარსების შემდეგ და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ 7—8 წლის განმავლობაში, ჩვენ ლიტერატურაში, ე. ი. ჟურნალ-გაზეთობაში დიდი ცვლილება მოხდა. ამ ათი თხუთმეტი წლის წინეთ ჩვენს ლიტერატურას არსებითათ არ სწამდა ნივთიერ ინტერესების წინააღმდეგობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებისა, წოდებათა და კლასთა შორის. მისთვის იმ დროს ერთი წოდების ანუ კლასის კეთილდღეობა იმავე დროს მოასწავებდა მთელი ხალხის კეთილდღეობას, და არა პირიქით. ასეთი არაისტორიული და შემცდარი შეხედულება ჩვენში პირველათ „კვალმა“ დაარღვია; იმავე დროს ამავე ორგანომ იკისრა ახალი გზის, ახალი მიმართულების გაკაფვა. თავის-თავად იგულისხმება, რომ ამ ახალი მიმართულების გაკაფვა პირდაპირი შედეგი იყო იმ ახალ საზოგადოებრივ ურთიერობათა, რომლებიც წარმოშობა კაპიტალისტურ წარმოების განვითარებამ ჩვენში. თუმც „კვალი“ თავიდანვე ახალი გზისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ საბოლოოთ ახალ გზაზე დადგომა და ახალი მიმართულების გამორკვევა განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის საქმეა. როცა ბ-ნი ი. ფანცხავა „კვალში“ თანამშრომლობდა, იმ დროს „კვალს“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მტკიცეთ გარკვეული ის მიმართულება, რომელსაც იგი შემდეგში დაადგა, თუმც მაშინაც ცხადი იყო, რომ მისი თანაგრძნობა განსაკუთრებით მშრომელი ხალხისაკენ იყო მიმართული. ეს გამოურკვევლობა იყო იმის მიზეზი, რომ „კვალს“ პირველ ხანებში გარს ეხვიენ ისეთი ვაჟბატონები, და მათ რიცხვში ბ. ი. ფანცხავაც, რომლებიც შემდეგში მისი დაუძინებელი მტრები შეიქნენ. ნახევრათ ბურჟუაზიულ-ლიბერალური აზრები, რომლებიც ბუნდოვან ფრაზებში იყო გახვეული და რომლებშიაც ადვილათ გამოიცნობდა ნამდვილი კონსერვატორი „ივერიიდან“, ნებას აძლევდენ ამ ვაჟბატონთ თავიანთი წერილები ერთხანს კიდევ „კვალში“ ებეჭდათ. 1895—1897 წლებში „კვალის“ რედაქციაში გამწვავებული ბრძოლა უხდებოდა ახალგაზდობის ორ ჯგუფს იმის თაობაზე, თუ ბოლოს ვის უნდა დარჩენოდა ეს ორგანო. ერთ მხარეზე იდგენ დიპლომიანი პირები, რომელთაც ნიკთიერი შეძლება, ისე იმათი სოციალური მდგომარეობა ხელს უწყობდენ, რომ „კვალი“ იმათ დარჩენოდა. მეორე მხარეზე ჩვენ ვხედავთ ყოველსავე ამას მოკლებულ პირთ, რომლებიც სამაგიეროთ გამსჭვალული იყვენ ხალხის ნამდვილი სიყვარულით და მისდამი თავდადებული სამსახურით. რამდენიმეჯერ სასწორი პირველებისაკენ გადაიხარა, მაგრამ ბოლოს გამარჯვება უკანასკნელთ ხვდათ. ეს გამარჯვება იმავე დროს მოწმობს, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალმა ურთიერთობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ამას შემდეგ ერთათ მოთავსება შეუძლებელი შეიქნა. „კვალმა“ მტკიცეთ და უკანდაუხედველათ დაადგა გარკვეულ პროგრამას. ამასთანავე მას ერთბაშათ ჩამოეცალენ ყველა ისინი, ვინც ბურჟუაზიულ-კონსერვატიული იდეებით იყვენ გაღენთილი. ბ-ნ ი. ფანცხავას შესახებ კერძოთ უნდა ვთქვათ, რომ იგი ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც „კვალის“ ახალი მიმართულების გამო იძულებული შეიქნენ მას ჩამოშორებოდენ.

ამ ნაირათ ბ-ნ ფანცხავას „კვალში“ თანამშომლობა უბრალო გაუგებრობა იყო, და როცა საქმე გამოირკვა, იგი მაშინვე თავის გზას გამოუდგა. მართალია, ერთბაშათ ვერ მიაგნო კვალს, მაგრამ, როგორც ნათქვამია ძველთაგან: ეძიებდეთ და პოებდეთო!—ისე ბოლოს ბ. ფანცხავამაც მიაგნო, რასაც ეძებდა: ერთი მისი წერილი „ლექსები ალ. ჭავჭავაძისა“, რომელიც მის „თხზულების“ ბოლოშია მოთავსებული და რომელიც მისი უკანასკნელი ნაწარმოებია, 1902 წლის „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი. სანამ ბ. ფანცხავა „კვალიდან“ „ივერიაში“ ამოყოფდა თავს, მან „მოამბეში“ სცადა ბედი, მაგრამ აშკარაა, რომ ვერც „მოამბე“ და ვერც ბურჟუაზიულ-ლიბერალური „ცნობის ფურცელი“ ვერ გახდებოდა ნამდვილი მისი ნავთსაყუდელი. ასეთი ნავთსაყუდელი მას მხოლოთ „ივერიის“ ფურცლებზე შეეძლო მოვპოვებია. წარმოიდგინეთ, რომ ბ-ნი ი. ფანცხავა, რომელიც ერთ დროს, ავათ იყო თუ კარგათ, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ადგილას ახალ ურთიერთობათა აღმოცენებას აღიარებდა კაპიტალისტურ წარმოების ნიადაგზე, რომელიც წინეთ წინაპრების გმირებათ დასახვას და იმათ წინაშე თაყვანისცემას მავნებლათ თვლიდა, რამდენიმე წლის შემდეგ იგი გარდაიქნება ახალი ურთიერთობათა უარმყოფელათ და წინაპართა კულტურის უკიდურეს ხარისხამდე მოსარჩლეთ. როგორც ხედავთ, აქ ერთი გვამის, თუმც არა „ზეგზარდმო მადლი ცხებულის“, აზროვნების მთელი ევოლიუციაა, მთელი განვითარება. ამ თავისებურ „ევოლიუციას“ ბ-ნი ი. ფანცხავა სავსებით გვიშლის ჩვენ თვალწინ თავის „თხზულებათა“ კრებულში. ბ. ფანცხავას ტყუილა

*) ბ. ფანცხავას „თხზულებანი“ პირდაპირ და სრულებით შეუცვლელათ გადმობეჭდილია სხვადასხვა დროგამოშვებით გამოცემებისაგან, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი ან წინასიტყვაობაში და ან ცალკე სიტყვებში დაგვისახელებდა იმ გამო ცემათ, რომლებშიაც იბეჭდებოდენ მისი წერილები, მაგრამ სამწუხაროთ, ავტორს ეს არ დაუნახავს საჭიროთ, თუმც წაკითხველისათვის ეს უმნიშვნელო როდი იყო. ჩვენ შემდეგ გავიგებთ, რისთვის აუარა გვერდი ავტორმა ამ გარემოებას.

კი არ მოაქვს თავი თანამედროვე ევოლიუციონური მოძღვრების მიმდევართ, იგი თითქმის ერთ მის ბურჯათ თვლის თავის თავს (იხ. მის „თხზ.“, გვ. 66, 71, განსაკუთრ. 84). ასე გამოდის, რომ ბ-ნ ფანცხავას ევოლიუციონური მოძღვრება თითქო თავის აზროვნების განვითარებით სურს დაუმტკიცოს მკითხველსო. რა ვუყოთ, რომ ბ-ნ ფანცხავას აზროვნების „ევოლიუცია“ სრულებით პროგრესიული არ არის, პირ-იქით, იგი რეგრესიულია. თვით ბ-ნ ფანცხავამაც კარგით იცის, რომ „ბუნებაში ხშირათ რეგრესსაც ადგილი აქვს“ („თხზ.“, გვ. 131) მართალია, ბ-ნ ფანცხავას არც წინეთ ეტყობოდა სახეირო ნიშნები, მაგრამ მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ მისი აზროვნება უკან-უკან არ წავიდოდა, არამედ წინ მიიმართებოდა. სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა, და დღეს ბ-ნ ფანცხავაში ჩვენ ვხედავთ უფრო მეტ „ივერიელს“, ვინემ თვით „ივერიელები“ არიან.

ამნაირათ, ჩვენ გავიგეთ, თუ რომელ ლიტერატურულ ბანაკს ეკუთვნის დღეს ბ-ნი ი. ფანცხავა, რას ან ვის ინტერესების მოსამსახურე და მონა-მორჩილი გამოდის იგი როგორც მწერალი. აქ ერთ გარემოებაზე კიდევ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, სანამ ბ-ნ ფანცხავას შეხედულებათა გარჩევაზე და დაფასებაზე გადავიდოდეთ.

„ჩვენ-კი პირადათ ყოვლათ უწინარეს სიმართლე, ჭეშმარიტება გვამოქმოდებს, გვაწერიებს, გვამუშავებსთ“,—ამბობს ბ-ნი ფანცხავა თავის თავზე „თხზ.“, გვ 65—6). თუმცა იქვე გვეფიცება, რომ „ლანძღვა-გინებით სიმართლე არ გამოირკვევაო“, მაგრამ იმავ დროს: ᲛᲐᲣᲬᲘᲠᲐᲕᲡ, ᲛᲐᲣᲗᲘᲜᲐᲕᲡ, ᲓᲐᲗᲘᲘᲔᲑᲘ, ᲯᲓᲑᲘᲜᲐ, ᲑᲝᲠᲓᲘᲐ მისთვის ჩვეულებრივი სიტყვებია მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლათ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ბ-ნ ფანცხავას მედიდურება და სხვისი ბრიყვება აღწევს უკიდურესს ხარისხამდე. რუსეთის უდიდესი მწერალი—ლევ ტოლსტოი მისთვის „ᲗᲐᲕᲖᲔ ᲮᲔᲓᲔᲑᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲙᲣᲠᲖᲔ ᲨᲔᲛᲨᲣᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡᲢᲘ“ („თხთ. გვ. 10.! „ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔ ᲒᲝᲠᲙᲘ ᲣᲕᲘᲪᲐ“ და მისი სურათები ბოსიაკების ცხოვრებიდან უსულო და უგულო“, (იქავე გვ. 237). „ბელტოვ-ჟორდანია ერთ-თავიანი ტყუპები არიან“ (გვ. 69, შენ); ენგელსს გარდა „ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲝᲓᲕᲘᲡᲐ“ არაფერი სკოდნია (გვ. 82); მარქსის „კაპიტალი“ მხოლოდ „მონოგრაფიული კვლევაა, მეტი არაფერი“ (გვ. 76) თუ ბ-ნი ფანცხავა ასე შეუბრალებლათ მოექცა მარქსს, ენგელს და ლევ ტოლსტოის, თქვენ წარმოიდგინეთ: ბელტოვს რაღას დამართებდა. და მართლაც ბელტოვს ყველაზე უფრო მოხვდა ზურგზე ბ-ნ ფანცხავასაგან! ახია მაზე! რათ არ ისწავლა ჭკუა ევოლიუციონისტ ფანცხავასაგან? მოყოლია რაღაც „უსაფუძვლო ლათაიებს“ (გვ. 90, 121). ბელტოვის წიგნი „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ“ მას სიცილათაც არ ყოფნის: ის მისთვის რაღაც „ᲜᲐᲯᲦᲐᲑᲜᲘᲐ“ (გვ. 97) და იმას წიგნაკს უწოდებს, მაშინ როცა თავის ულაზათო და უშნო წერილები, რომლებიც გიმნაზიის მეხუთე კლასის შეგირდს უფრო შეეფერება, „თხზულებების“ სახელით ასაღებს. ბ-ნი ფანცხავა ამასაც არ კმარობს: ბელტოვი, მისი სიტყვით, „ᲥᲕᲔᲜᲐ ᲫᲐᲚᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲡ ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲡ“ (გვ. 114); ამიტომ მოუწადინებია მისი მეცნიერების „განქიქება“ (გვ. 103), რაია „დანარჩენი მკითხველები შეცდომას და ცალმხრივობას ააცილოს“ (გვ. 104).

ამის შემდეგ რ ღა გასაკვირველია, რომ ბ-ნ ფანცხავას, რომელმაც ერთი კალმის მოსმით მოსპო და გააკამტვერა ევროპის გამოჩენილი მეცნიერნი, რომლებმაც სრულიად ახალი შეხედულება დაამკვიდრეს ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებაში, ქართული მწერლობა არაფრათ მიაჩნდეს. მაგრამ ყურადღების ღირსი ის არის, რომ დღევანდელი ქართული მწერლობა ბ-ნ ფანცხავას მხოლოდ ზიზღსა გვრის. „დღევანდელი ჩვენი მწერლობაო—წერს ბ-ნი ფანცხავა—ერთიანათ და სრულებით ბალდთა და უსუსურთა სათარეშო შეიქნა. დღევანდელი ჩვენი მწერლობა მხოლოდ იმათ დარჩენიათ სასუფევლად, ვინც რიდი აქვს და გაბედულებაც მოეპოვება, სხარტა და [illegible] მეტი ბირგახეულობით იგინოს, ილანძღოს. დღეს ჩვენი მწერლობა იმათ შერჩენიათ სალალაოთ, ვისაც ჩვენთა მოღვაწეთა ფასი და ღირსება კი არ აინტერესებს, არამედ ვინც კაკაბიცვით იზეპირებს კადამთიელთა და გარეშეთა ნაწუეტ-ნაწეეტს და აქა იქ ამოგლეჯილ სტატიების და ამ გარეშეთა ქალიშვილებსაც კი არ ივიწყებს (ეს „გარეშეთა ქალიშვილები“ ნეტა რას ნიშნავენ? მ. მ.) ჩვენი საკუთარი კი იმათ მხოლოთ საკიცხავათ არც გამოადგებათ. დღევანდელი ჩვენი მწერლობა მხოლოდ ᲣᲑᲐᲓ-ᲡᲐᲓᲔᲑ და ᲬᲣᲐᲓ-ᲬᲐᲡᲐᲓᲔᲑ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲗ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, მეტი არაფერი. სწორეთ ამ მწერლობის სრული გამოთაყვანებაა იმის მიზეზი, რომ ალ. ჰავჰავაძის ლექსთა შესწავლაში წინ ფეხი ვერ წავსდგით, მისი სრული ისტორიული მნიშვნელობა გათვალისწინებული არა გვაქვს სავსებითო“ (ევ. 220 ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ).

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან ამოდენა ტირადის ამოწერისათვის, მაგრამ ეს საჭირო იყო ბ-ნ ფანცხავას სრული დახასიათებისათვის. ბ-ნი ფანცხავა ერთ და იმავე დროს ილანძღება და ნიანგის ტოლს ცრემლებს ღვრის. მაგრამ ლანძღვაც არის და ლანძღვა. ბ-ნი ფანცხავა ლანძღავს და მიწასთან ასწორებს მთელ თანამედროვე ქართულ მწერლობას; და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ თურმე დღევანდელი მწერლობა ალ. ჰავჰავაძის ლექსებს ყურადღებას არ აქცევს, იმათ ისტორიულ მნიშვნელობას არ იკვლევს, და სამაგიეროთ კი ეს მწერლობა ისეთ მომაკვდინებელ ცოდვას ჩადის, როგორიც არის „გადამთიელთა და გარეშეთა სტატიების გაზეპირება“. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ ვინ ყავს მას მხედველობაში, როცა იგი თანამეროროვე ქართულ მწერლობას ლანძღავს და აგინებს. ჩვენ კარგათ ვიცით ისიც, თუ ვის გულისხმობს იგი „გადამთიელთა და გარეშეებში“! ამიერიდან უწყოდეს ბ-ნი ფანცხავა, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა თავს იწონებს მით, რომ მას შეძლება ეძლევა გადმონერგოს ქართულ ენაზე ევროპის დიდებულ მეცნიერთა დამსწავლულთა შეხედულებანი და ნაყოფიერი აზრები, ვინემ ჩვენ არშიყ მოლექსეთა შესწავლას შეალიოს თავისი ძალლონე. მაგრამ ეს მწერლობა ამ მოლექსეთაც არ დაივიწყებს, იმათი შესწავლა და დაფასება, როგორც სხვა მრავალი მხარეების ჩვენი წარსული და აწმყო ცხოვრებისა უფრო გაგვიადვილდება ევროპის მეცნიერების შემწეობით. მაგრამ ყველაზე უფრო შეუფერებელი და შეუხამებელი ამ აულაგმავ ლანძღვა-თრევასთან ბ-ნ ფანცხავას მიერ ნიანგის ცრემლების ღვრაა. ნუ-თუ დასასახელებელია, რომ ბ-ნ ფანცხავას ამ ზომამდე აწუხებს ქართული მწერლობის უნუგეშო მდგომარეობა? ჩვენ ეს არ გვჯერა, არ გვჯერა იმიტომ, რომ ასე არ ლაპარაკობს ის, ვინც მართლა შეწუხებულია. და მართთლაც რომ ეს ასე იყოს, ცრემლები ხომ მაინც ვერაფერს გვიშველის.

ასეთია ბ-ნი ფანცხავას გარეგანი ლიტერატურული სახე; თუ რა ღირსებისაა მისი ლიტერატურულ ვარჯიშობათა შინაარსი, რა ღრმა ფილოსოფიურ აზრებსა და დაკვირვებაზეა იგი აგებული, ამას ჩვენ შემდეგ გავიგებთ. მოსალოდნელი კი იყო, რომ ვინც ასეთი თავმომწონეობით, ასეთი რიხით და ასეთი საოცარი გაბედულობით მსჯელობს მეტათ საყურადღებო და სამძიმო კითხვების შესახებ, ვინც ასეთი მოურიდებლობით და აგდებით იხსენიებს მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს მეცნიერთ და მწერლებს, როგორიც არიან, მაგ., ფილოსოფოსი ჰეგელი, მარქსი, ენგელსი, ლევ ტოლსტოი, საფუძვლიან ცოდნას და საკმარის დაკვირვებას გამოიჩენდა. გამოიჩინა კიდეც ეს ბ-მა

ფანცხავამ? მის „თხზულებათა“ გადაშინჯვამ ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ისე ᲠᲙᲘᲗᲘ, როგორც ᲥᲘᲗᲘ—საქმის გასაადვილებლათ ჩვენ უფრო მოხერხებულათ მიგვაჩნია პირველათ ვანვიხილოთ დიალექტური მატერიალიზმის „კრიტიკა“; შემდეგ შევეხებით ბ-ნ ფანცხავას დანარჩენ პუბლიცისტურ ხასიათის წერილებს; ბოლოს განვიხილავთ ბ-ნ ფანცხავას მსჯელობას პოეზიაზე საზოგადოთ და აღ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲖᲔ კერძოთ. მაᲨ შევუდგეთ საქმეს.

მ. მარილაძე.

(შემდეგი იქნება)

*
* *

როს ჩემი გული სევდა-კაეშანს,—
ვით სატრფოს საფლავს,—დასტირს, ვალალებს,
და უგზო-უკვლოთ მივაპობ ბნელსა,
ცრემლები მილბობს ნაღვლიან თვალებს,—
გზის მაჩვენებლათ მოვედ, ვარსკვლავო,
მით გულის სევდა მყისვე გაქრება...
ცას ხომ ანათებ,—ჩვენო სამყარო
როგორათაც ცა ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ბნელდება.

—

ოჰ, ნეტავ ერთხელ ბედნიერების
სხივი მომფინონ შარავანდედათ...
ნეტავ ვიხილო მე გარიჟრაჟი,
განთიადისა წინამორბედათ.
სად არს სათავე მშვიდი ცხოვრების,
ვინ გადალეწავს დახშულ მის კარსა...
არა, აღარ მსურს გულში მიკლავდენ
ყოვლად უმართლეს ჩემს სათხოვარსა.

—

და გმირი ურჩი, შეუპოვარი,
მსწრაფლათ ეკვეთა მთისა მწვერვალსა,
ვისნი ბაგენიც წარმოიტყოდენ:
„დავთურგნავ ზამთარს, და მომავალსა
ავაყვავილებ... მთიდან სიცივე
იწყება... ოჰ, თუ მიმიწვდა ხელი...
ძალა არ შემწევს,—რა უშავს?—ᲮᲨᲘᲠᲐᲗ
სიმართლე არის აღმართის მხვნელი.“

—

ზღვავ, ზეცის სარკე, გემუდარები,
ჩვენთ მოწყვეტილთ გმირთ ეტყოდე ნანას...
ოჰ, რაც ჩააქრეს თუ არ აღვანთეთ,
შემძულდება ცა, დავწყევ ქვეყანას.

ბ. ᲐᲮᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ

ᲜᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲓᲐᲜ

(საუბარი მკითხველთან)

VIII

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

მანუფაქტურა შრომის განაწილების საშუალებით შრომას აორკეცებდა; რთულ სამუშაოს ანაწილებდა პატარ-პატარა სამუშაოთ და თვითოეულს მუშას მიუჩენდა ერთს პაწია საქმეს, მწარმოებელის შრომა სიმარტივისა ᲓᲔ ერთფეროვნების გამო მანქანისებური იყო, მეხანიკურათ სწარმოებდა. მხოლოდ, რადგან შრომა მაინც ადამიანის ორგანოებით სრულდებოდა, რადგან მუშის ხელი იყო უმთავრესი საწარმოო იარაღი, ამიტომ შეუძლებელი იყო ამ იარაღის უსაზღვროთ გაუმჯობესება-განვითარება. მუშის სიმარჯვეს, მოხერხებას, შეჩვევას, დაკვირვებას, ერთი სიტყვით, ოსტატობას ბოლოს უნდა ქონოდა, და ის ვერ იმატებდა დაუსრულებლათ და უკანასკნელ საზღვარს ვერავითარი მეცადინეობით ვერ გადასცდა—რადა მწარმოე ელი. ბაზრის გაფართოება, საქონლის გაᲠᲐᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ საჭიროება კი დღითი დღე ითხოვდა გაუმჯობესებულ წარმოებას, მეტ სისწრაფეს, მეტ ბეჯითობას კაპიტალისტთა შორის სასტიკი მეტოქეობა ᲮᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ გაიაფებას საჭიროებდა, საქონლის გაიაფება-კი შრომის გაუიაფებლათ ხელს არ აძლევდა მექარხნეს, ამიტომ მისი სურვილი აუცილებელი სამუშაო დროს შემოკლებისა ე. ი. სამუშაო ქირის შემცირებისა კიდევ უფრო მატულობდა, ფრთას იშლიდა და ცხოვრებას, მის საგეშებლათ მორთულ-მოწყობილს, უნდა დაეკმაყოფილებინა ასეთი ფართო მოთხოვნილებაც. და ცხოვრებამ იგი დაკმაყოფილა მანქანის სახით. მანუფაქტურა გადაუვალ საზღვარს მიადგა, ადრეულათ დალია სული და თვისი მემკვიდრეობა მთელათ მანქანას დაულოცა. ამით მწარმოებელს მისი წინანდელი როლი ჩამოერთვა, სულიერი არსების საქმე უსულო მანქანამ მიიღო გასაკეთებლათ. მანქანა უმთავრესათ მით განსხვავდება წინანდელი იარაღისაგან, რომ წარმოებას ადამიანის ძალის მაგიერ ბუნების ძალა ასრულებს. იგივე იარაღები, იგივე ხელსაწყო, რაც წინეთ მანუფაქტურის დროს იყო, მხოლოდ მანქანა ერთი იარაღის მაგიერ მრავალ იარაღებს ერთდროულათ ამოძრავებს, ამოქმედებს. მანქანა სამი ნაწილისაგან შესდგება: 1) ᲐᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, 2) ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘ ᲛᲔᲮᲐᲜᲘᲖᲛᲘ და 3 ᲐᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲮᲣ ᲡᲣᲠᲗᲣᲨᲐᲝ ᲐᲜᲐᲮᲚᲐ. პირველს—მამოძრავებელს ნაწილს მოძრაობაში მოყავს მთელი მეხანიზმი; ეს ან თვითონვე შობს თავის მამოძრავებელ ძალას, როგორც მაგალითათ, ორთქლის მანქანა, ელექტრონი და სხ. ანუ ღებულობს ამ ძალას გარედან, ბუნების როშელიმე ძალისაგან, როგორც მაგალითად, მდინარის წყალი, ქარი. მეორე—გადამცემი მეხანიზმი ბორბლების, ღვედების, ჯაჭვების და სხვა ათასგვარი რამეების საშვალებით აწესრიგებს მთელ მოძრაობას: გადააქვს ნივთიერება ერთი ადგილიდან მეორეზე, სცვლის ფორმას, ანაწილებს მასალას; მხოლოდ ორივე ეს ნაწილები მამოძრავებელი და გადამცემი მიტომ მოძრაობენ, რომ გადასცენ ძალა საბოლოოთ და აამოძრაონ სამუშაო მანქანა ანუ აღმასრულებელი მეხანიზმი. ეს უკანასკნელი სწორედ რედ იმ იარაღებისაგან წარმოსდგება, რომლითაც მუშაობდა მწარმოებელი მანუფაქტურის დროს; ამნაირათ მანუფაქტურის უშის როლს დღეს მანქანა ასრულებს. გუშინ მწარმოებელი თვითონ აწარმოებდა, აკეთებდა საქონელს, დღეს ის მხოლოდ თვალყურს ადევნებს წარმოებას, ხელს უწყობს მანქანის სწორსა და მუდმივს მოძრაობას. წინეთ ხელოსანი თვალ-ყურის მგდებელიც იყო და მკეთებელიც; ფიზიკური შრომის აღსასრულებლათ ის გონებრივათაც მუშაობდა, მხოლოდ მანუფაქტურის დროს მას პირველი მოვალეობა ჩამოერთვა, გონებრივი შრომა მოესპო და ის იძულებული იყო მეხანიკურათ გაეწია ფიზიკური შრომა. მანქანამ კი ისევ დაუახლოვა დღევანდელი მუშა მის ძველს თანამოძმეს—ხელოსანს ამ მხრით. დღეს ის გარდა იმისა, რომ ფიზიკურათ შრომობს გონებაც მოძრაობაში მოყავს, საჭირო შეიქნა შუბის სულიერი თვისებანიც და ამიტომ თანამედროვე წარმოება-გონების სავარჯიშო ასპარეზი გაუფართოვა მუშას. როგორია ეს ასპარეზი და რას უქადის იგი მწარმოებელს, ამას შემდეგი დაგვანახვებს, მხოლოდ ის კი უეჭველია, რომ გათვითცნობიერების ნიადაგი ᲩᲐᲮᲝᲕᲜᲘᲐ; ზედ გამაგრებას და განვითარებას-კი სხვა პირობებიც უნდა უწყობდეს ხელს და ამ პირობების შექმნა-განმტკიცებას უნდა ცდილობენ ყოველი გონიერი ადამიანი!..

ზევით ნათქვამიდან სჩანს, რომ სამუშაო მანქანა ისეთი შექანიზმია, რომელიც ოვეისი ორადგილის საშვალებით იმავე სამუშაოს ასრულებს, რასაც ასრულებდა წინეთ შწარმოებელი იმსაორივე ორადგილით. მას შემდეგ რა რომ საწარმოო ორადი მუშას ჩაძოურივა და მეხანიზმს გ რდაეტა სახმარებლათ, მანუფაქტურის ადგილი მანქანამ დაიკავა წარმოებაში. მანქანის უმთავრესი ღანიშნულება იგივეა, რაც ყოველი სხვა გაუმჯობესებული საწარმოო იარაღის: მისი საშვალებით უნდა გაიაფდეს საქონელი, შემოკლდეს სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელსაც მუშა თავის თავს ანდომებს და მით გაგრძელდეს ის ნაწილი, რომლის ნაყოფი კაპიტალისტის სრულს კუთვნილებას შეადგენს. რა თქმა უნდა, ამ მხრმთ მანქანა ბევრათ წააჯობებს წინანდელს წარმოებას. რაც უნდა დახელოვნებული იყოს მუშა, მას არ შეუძია მრავალი იარაღებით ერთდროულათ იმუშაოს, მხოლოთ მანქანისათვის ეს მოსახერხებელი ხდება. მუშას არაოდეს არ შეუძლია ისეთის სისწრაფით, თანასწორებით შეასრულოს სამუშაო, როგორც მანქანას: ამ უკანასკნელის ყოველი მოძრაობა წინადვე გამოანგარიშებულია რიცხვით, ზომით; ეს უსულო მეხანიზმი, სწორეთ იმიტომ, რომ უსულოა, დაუღალავიც არის და ამიტომ მას შეუძლია დღე და ღამ, წლიდან წლამდე შეუსვენებლათ იმუშაოს: მას არც სასადილო დრო ეჭირება და არც დასაძინებელი და, აბა ასეთ მოუსვენარს რა მეტოქეობა უნდა გაუწიოს ხორც შესხმულმა ადამიანმა?! რამდენათ უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს მანქანის წარმოება დახელოვნებულ მუშის შრომაზე, ადვილი წარმოსადგენია. „ადამ სმიტს“—ამბობს შიპელი,—„სასწაულათ მიაჩნდათ, როცა 10 კაცი 48 ათას ქინძისთავს აკეთებდა დღეში. დღეს კი, როცა მანუფაქტურის მაგიერ მანქანა მუშაობს, სამი მუშა, რომელნიც პირდაპირ არც კი აწარმოებენ, არამედ მხოლოთ აწესრიგებენ, თვალყურს ადევნებენ, დღეში შვიდმილიონ ნახევარი ქინძისთავის გაკეთებას ასწრებენ.“ „წინეთო“—განაგრძობს იგივე ავტორი,—დახელოვნებული მუშა დღეში მხოლოთ ორმოც წყვილ ზაპონკის გაკეთებას ახერხებდა, დღეს კი მანქანაზე ერთი პატარა ბავში დღეში 9 ათას წყვილს ამზადებს. იმდენათ დიდია ეს ახალი ძალა, იმდენათ სასარგებლო და მოსაგებია მისი ხმარება, მხოლოთ კაპიტალისტი მასაც ადვილათ ისაკუთრებს. ჩვენ წინეთ უკვე გავიგეთ, რომ შრომის განაწილება ღა კოოპერაციისაგან წარმომდგარი სასარგებლო ძალით კაპიტალისტი მუქთათ სარგებლობს. ის არაფელს იხდის აგრეთვე ბუნების ძალაშიაც, მხოლოთ ამ ძალებს მოხმარა ეჭივრება, მოხმარებას ადამიანის შრომა უნდა, ამიტომ წარმოებისათვის ყოველ შემთხვევაში მწარმოებელია საჭირო, კაპიტალისტს მუშა ყოველთვის და ყოველგან ესაჭიროება. მანქანის შემოღებით მხოლოდ ერთი თვალსაჩინო ცვლილება მოხდა: მწარმოებლის სამუშაო იარაღები მანქანას გარდაეცა, მხოლოდ ამ ცვლილებისაგან წარმოსდგა მეორე ფრიად დიდმნიშვნელოვანი ცვლილება: მწარმოებელი უბრალო ყურის მგდებელი შეიქნა მანქანის მოძრაობის და ამ მოძრაობის მოსაწესრიგებლათ მოძრაობს მხოლოდ მუშა. ის დღეს წარმოების ყველა წვრილმანებს ადევნებს თვალყურს, საქონლის საწარმოებლათ მომართულ ყველა ძალებს ხელმძღვანელობს, მუშაობის მთელ პროცესს! ეცნობა, ერთი სიტყვით, მისი გონება უფრო მეტს, უფრო საზრიან მონაწილეობას ღებულობს მუშაობის დროს. ჩვენ ვთქვით მუშა მანქანის წარმოების მხოლოდ ყურის მგდებელია თქო, მისი შრომა ამით განისაზღვრება, მაგრამ ეს შრომა მაინც ერთადერთი წყაროა ზედ-მეტი ღირებულების და მანქანის გამოგონებით ეს სრულიადაც არ შეცვლილა; ან კი როგორ უნდა შეცვლილიყო?

ა. წულუკიძე.

(გაგრძელება იქნება)

კ უ ბ ო

(თარგმანი)

18** წლის გაზაფხულზე ბარცელონაში ბინა ქირაობდა ჩემი ახალი სადგომი მეორე სართულზე იყო, ქვემოთ-კი კუბოს მაღაზიას ეჭირა. შუშის კარებიდან მოჩანდა სხვა-და-სხვა ნაირი კუბოები: აქ იყო, როგორც გალაქული, ისე შავ და თეთრ მაუდ შემოკერებულები, როგორც ეს ისპანიაში სიკვდილ ხოლმე იყო კუბოები დიდებისთვის, ახალგაზ ებისთვის და აგრეთვე კრპწია ლამაზი კუბოები ბავშვებისათვის. ეს მაღაზია ჩემს სახლის პატრონს—ენრიკო სანხეცს ეკუთვნ და. იქ მუშაობდა ახალ-გაზრდა ქალი კონჩიტა, რომლის მოვალეობა იყო მატერიის შემოვლება კუბოებზე და ბუზმენტებით გაწყობა. ახალგაზრდა, მაღალ და ტანად ქალს ამშვენებდა საუცხოვო თმები. ერთი შეხედვით დაღონებულ ანგელოზს მიაგავდა. იმისი ლმობიერი სახე ქუჩაში გავოსვლისას არასოდეს არ მავიწყდებოდა ცალი თვალით იმისკენ გადახედვა. შეხვედრისას თუმცა ვაძლევდი სალამს, მარა ჯერ კიდევ არ გავლაპარაკებოდით ერთმანეთს.

ერთ საღამოს, როცა ჩემამდი უფრო ძლიერათ ახწევდა აღელვებული ჩალხის გუგუნი, მე შეველი მაღაზიაში და სანხეცი ვიკითხე; რომელიც ამ დროს ზორანს აყოლებდა კუბოს. მიპასუხა, რომ ჩემი სახლის პატრონი ახლახან ადღაც წავიდაო. როცა პასუხს მაძლევდა, თავი მაღლა აიღო და შემომხედა თავისი გრძნობიერი თვალებით. რა მშვენიერი იყო ის ამ დროს! მის ფერმკრთალ სახეს თითქო შესაბამებოდა მტრედის ფერი ტანსაცმელი. გულზე დაბნეული ჰქონდა თეთრი ყვავილი „აზალია“. იმის მოელვარე თმაზე თითქო მთვარის სხივები დაქათქათებდა. ის იყო ნაზი, როგორც გაზაფხულის ყვავილი და ტურფა როგორც მშვენიერი ფეია. რამოდენიმე წამს, სანამ ის მუშაობას განაგრძობდა მე შევსტრფიალებდი მის სიმშვენიერეს. შემდეგ ის ჩამოჯდა ერთ შეუკაზმავ კუბოზე და ჩვენ შორის გააბა მუსაიფი.

კონჩიტა არ იყო კატალონიიდან, რაც ცხადათ ემჩნეოდა მას რბილ ნაზ გამოთქმაში. ლაპარაკში გამოირკვა, რომ იმისი სამშობლო ძველი კასტილია. ახლა არ მახსოვს თუ რაზე ვლაპარაკობდით მაშინ, ეს კი მახსოვს, რომ თავი შევიკავე და არ მიმხელია მისი სიმშვენიერე. სხვათა შორის ვკითხე, რომ ამ არეულობების ხომ არ გეშინია თქვა.

— როგორ არა,—მიპასუხა მან,—ძლიერ მეშინია კიდეც.

ის მხოლოთ ხან-და-ხან თუ მოაშორებდა თვალს სამუშაოს. მისი ნაზი ხელები განუწყვეტლივ მოძრაობაში იყო. მარცხენა ხელზე ოქროს ბეჭედი უბრწყვიალებდა. იმისი მუსიკალური ხმა სმენას ისე ატკბობდა, რომ მზათ ვიყავ დამეხუჭა თვალები და მესმინა, მესმინა დიდხანს.

უცბათ მან შეჭკივლა და თავი მაღლა აიღო.

— რა მოგვიდათ?—განცვიფრებით შევეკითხე მე.

მან აცახცახებული მარცხენა ხელი ტუჩებზე მიიტანა თითზე მომდგარი ერთი წვეთი სისხლის გამოსაწუწნათ და მარჯვენათი კი მიმითითა კუბოზე. მე დავიხარე კუბოში ჩასახედათ და შიგ რამოდენიმე სისხლის წვეთი შევნიშნე. კუბოზე ზონრის შემოჭედის დროს კონჩიტას თითი გაეჭრა. ის ძალზე გაფითრებული აშტერდებოდა კუბოს.

— ძალიან გეტკინათ?—თანაგრძნობით შევეკითხე მე. მას არც კი გაუგონია ჩემი კითხვა, ისე გაეტაცა ფიქრებს.

— ცუდი ნიშანია,— წარმოსთქვა მან.—ან მე და ან შენ და ან სხვა მახლობელი ჩაწვება ამ კუბოში. სისხლი სისხლს იზიდავს.

— როგორ არ გრცხვენია კონჩიტა!—შევსძახე მე.—რა მწარე ფიქრებია, ან და რა ცრუმორწმუნეობაა.

იმან თავი გაიქნია,—არა, მე ნამდვილათ ვიცი, სისხლი სისხლს იზიდავს.

ამ წუთში ჩემი ყურადღება მიიპყრო ყვავილმა, რომელიც მას გულზე ქონდა დაბნეული და თავში შესანიშნავმა აზრმა გამიელვა; მე მოვგლიჯე ყვავილი და კუბოში ჩავაგდე.

— ახლა ნურავის გეშინიან, კუბომ მიიღო თავის მსხვერპლი, კონჩიტას გაფითრებულ სახეზე მკრთალმა ღიმილმა შეითამაშა.

— არა მგონია ის მაგგვარი მსხვერპლით დაკმაყოფილდეს; ყველაფერი ისედაც მალე ჭკნება.

— მაგრამ სისხლი რომ არ დაღვრილიყო, ყვავილი შენს გულზე დასჭკნებოდა და არა ბნელ კუბოში. ამასაც მნიშვნელობა აქვს.

— ღმერთმა ქნას, რომ კუბომ იკმაროს ეს მსხვერპლი,— დაფიქრებით წარმოსთქვა კონჩიტამ,—მარა მე მაგის იმედი არა მაქვს მეთქი.

— ეს რა ულმობელი კუბო ყოფილა!—ხუმრობის კილოთი ჩავილაპარაკე მე და წამოვდექი წასასვლელათ. გამომშვიდობების დროს გაუწიე ხელი. იმისი გაყინებული ხელი კი კვლავ ცახცახებდა.

— წავიდე ერთი შევიტყო რა ხდება ქალაქში... ეს რაა, მგონი თოფის ხმა იყო? თხოვეთ დონ სანხეცს სახლში გაგაცილოს; მარტო არ გახვიდეთ ქუჩაში. ამ სიტყვებით გამოველი მაღაზიიდან.

მე ნელა მივდიოდი. მაღაზიები ყველა დაკეტილი იყო და ქუჩის მოძრაობა შეწყვეტილიიყო, მხოლოდ აქა-იქ მხვდებოდა გაცხარებით მოლაპარაკე ხალხის გროვა. რამდენს იქით ვიწევდი, იმდენათ უფრო და უფრო ჯგუფდებოდა აბობოქრებული ხალხი. სახლების და მაღაზიების ფანჯრებზე ლაწალუწი გაჭქონდა ქვებს. მოუსწრო პოლიციამაც. აქ კი ხალხსა და წესიერების დამცველებს შუა გაჩაღდა ხელჩართული ომი. მე გავეშურე იქითკენ, საიდანაც, როგორც აღელვებული ზღვის ტალღების ხათქა-ხუთქი ისმოდა ხალხის მრისხანე გრგვინვა.

იქ, ხელათ ამართულ ბარიკადზე ავიდა წარმოსადეგი ტანის ყმაწვილი კაცი, ფერადის დროშით ხელში. ის ჯერ სულ ახალგაზდა იყო, ულვაშები მხოლოდ ახლა ეღინღლებოდა. მის მეტათ ლამაზ სახეს უფრო ამშვენებდა მოგრძო შავი თმა. ის გმირულათ გამოჭიმულიყო ბარიკადაზე და სხვებთან ერთათ გაჰკიოდა: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ მის ცეცხლის მფრქვევ თვალებში უზომო სიმამაცე იხატებოდა.

ცხენოსანთა რაზმი თანდათან უახლოვდებოდა ბარიკადს. ჭაბუკმა რევოლვერი გაისროლა მათკენ და უფრო მაღლა ააფრიალა დროშა. ამ დროს ერთი მხედართაგანი ამოღებული ხმლით გამოექანა მისკენ, აიწია უზანგზე და ისე მაგრა დასცა ხმალი მხარზე, რომ გასჭრა ძვალი და გულამდი ჩააწია.

ჭაბუკი გადმოვარდა ძირს და დროშა ხელიდან გაუვარდა. ხალხს მწვავე გმინვა ამოხდა გულის სიღრმიდან: ამხანაგები მიცვივდნენ ჭაბუკთან და შეეტაკნენ პოლიციელთ. შეიქნა საშინელი ჟლეტა... მე გადავწყვიტე გავშორებოდი ამ გულის შემზარავ სურათს და გავეშურე შედარებით უფრო წყნარ ქუჩისაკენ, სადაც კატალონელი გოგოები ყვავილებით ვაჭრობენ ხოლმე. მინდოდა კონჩიტასთვის „აზალია“ მეყიდა, მარა ტყვილა დაუწყებდით დღეს ყვავილების ძებნას: სადაც უწინ ვარდი და მიხაკი იყიდებოდა, ახლა იქ გაბრაზებული ხალხის გროვა ჩანდა, მრისხანე თვალები ელვარებდა და ასაღელვებელი სიტყვები ქუხდა. ამ გვარათ ნავთსადგურამდის მივაღწიე, დავიქირავე ნავი და გავსწიე შუაგულ ზღვაში; მინდოდა როგორმე გამექარვებინა გამოვლილი შთაბეჭდილებანი.

საკვირველი წყნარი და მოწმენდილი საღამო იყო. ჩამოვჯექი ნავის ბოლოზე და დავუწყე ცქერა არსკვლავებით მოჭედილ ცას. ისე გამიტაცა გარემოცულმა მაუდროებამ, რომ თითქმის გადამავიწყდა ქალაქის ამბები.

როცა სახლში ვბრუნდებოდი, მაღაზიის კარებთან შევნიშნე მოხუცი მეკარე. მის ნაღვლიან სახეზე ამოვიკითხე, რომ რაღაცა არაჩვეულებრივი მომხდარიყო.

— რაშია საქმე?—შევეკითხე მოხუცს.

იმან ხელით მანიშნა, რომ გავჩუმებულვიყავ, შემდეგ მაღაზიისკენ მიმითითა და სიფრთხილით კარი გამიღო. მე შიგნით შევიხედე; გაზით განათებულ მაღაზიაში კონჩიტა იჯდა და ტიროდა. ის გულით მიყრდნობოდა კუბოს და ხელები ზედ დაეწყო. მთელი იმის ტანი ირთოდა გულამოსკვნილ ქვითინის გამო. ის ისე შთაენთქა მუუხარებას, რომ არც რამ ესმოდა და ვერაფერსაც ვერ ხედავდა თავის გარშემო. ეს იყო განხორციელებული განწირულება!

მეკარემ ისევ მიხურა კარები.

— რისთვის ტირის ის?—შევეკითხე მე.

— კუბოს დასტირის.—მიპასუხა მოხუცმა.

— როგორ თუ კუბოს?

— ჰო, კუბოს; აი მაგ კუბოში ჩაასვენებენ მაგის სათაყვანოს, რომელიც დღეს მოკლეს.

მე მაშინვე თვალწინ წარმომიდგა ბარიკადა და ზედ ლამაზი ჭაბუკი დროშით ხელში. საწყალი ყმაწვილი! საცოდავი კონჩიტა!

შეველი ოთახში თუ არა, გამოვაღე კარები და აივანზე გამოველი. ზევიდან მოჩანდა ბნელი ცა მოციმციმე ვარსკვლავებით და ქვევიდან კი ისევ ისმოდა აჯანყებულთა კივილი და გმირული ჰიმნი...

ბარონი.

კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს

(ისტორიული წერილი)

თარგმანი ლ. ედიავასი

IV

არა ნაკლები წინააღმდეგობა იყო გამეფებული ხელოსანთა შორის, ვიდრე კაპიტალისტებში. ამქრული ორგანიზაცია კარგა ხანია რაც ერთ წერტილზე იყო გაყინული. ის გადიქცა საშვალებათ მთელი სახელოსნო წარმოება რამდენიმე არჩეულთა ხელში გადასულიყო. ის შეიქნა პრივილეგია, ოსტატისა, განსაკუთრებული უფლება მისი. რამდენათ პატარა იყო და ვიწრო ამ არჩეულ პირთა სამოქმედო ასპარეზი, იმდენათ ადვილი იყო და ხელსაყრელი ქარგლების და მხმარებლების ექსპლუატაცია. ქარგალი ოსტატთა წოდებაში გადასულიყო, თითქმის შეუძლებელი გახდა. ოსტატათ გახდომისათვის საჭირო იყო: ქარგალი ან ოსტატის შვილი უნდა ყოფილიყო, ან უნდა შეერთო რომელიმე ოსტატის ქალი; ანდა ოსტატის ქვრივზე უნდა დაეწერა ჯვარი, რომ ვინმე გარეშეს ოსტატის უფლება მიეღო, ეს შეზღუდული იყო არა მარტო ათასგვარი პირობებით, არამედ გარემოცული იყო იმ გვარი მოთხოვნილებებით, რომლებიც შეუძლებლათ ხდიდენ დასახელებული უფლება მიგეღოთ. ხშირათ ამქრული ორგანიზაცია ისე კარჩაკეტილი იყო, რომ განსაზღვრულ წევრებზე მეტის მიღება არც კი შეიძლებოდა. ოსტატები ძრიელ ცდებოდენ, თუ იმას ფიქრობდენ, რომ განუსაზღვრელ, პოლიციურ სახელმწიფოში შეიძლება მონოპოლიის შერჩენა მხოლოდ მარტო თავის სასარგებლოთო. ძველი სამეფო უკანონოთ თვლიდა რომელიმე მცირე ჯგუფს მონოპოლიის საშვალებით ეყვლიფა ხალხი და მისთვის ე. ი. ძალის წარმომადგენლისთვის არაფერი ერგუნებია. უფლება ოსტატის წოდების მოწმობის გაცემისა—

რა თქმა უნდა კარგს ფასებში—გვირგვინის მონოპოლიათ იქნა აღიარებული. მანვე იგდო ხელში უფლება საამქრო გამგეობის წევრების დანიშვნისა. თუ ამქრები მოისურვებდენ შეენარჩუნებიათ თავის პრივილეგიები, ამ შემთხვევაში მათ გვირგვინისთვის უნდა ეძლიათ აუარებელი ფულები. აქ დაწესებული ფასები არ არსებობოდა, არამედ რამდენსაც და როცა გვირგვინი მოისურვებდა, ეს ე. ი. როცა ტახტი ფულს საჭიროებდა*) ოსტატები ძლიერ მოწადინებული იყვნენ დაეცვათ პრივილეგიები და ძველი სახელმწიფო წყობილება: ისინი, როგორც ყველაზე ნაკლები პრივილეგიის მექონე, მსხვერპლი უნდა შექმნილიყვენ რეფორმაციის პოლიტიკისა. ტიურგოს რეფორმების პირველი ისარი მართლაც მათ მოხვდათ გულში ყველაზე უწინ. სულ წინააღმდეგ პირობებში იმყოფებოდენ ქარგლები: მაგ. შეადგინეს ცალკე წოდება განსაკუთრებულ წოდებრივი ინტერესებით. ისინი დაქირავებულ პროლეტარებათ არ თვლიდენ თავიანთ თავს. ხელი-ხელ ჩაკიდებული ისინი ერთათ მოქმედობდენ იმ ოსტატებთან, რომლებიც ამქრულ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდენ, და რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი. თვითეული ქარგალი იმას ნატრობდა და ოცნებობდა, რომ რამე ნაირათ ოსტატი გამხდარიყო, რომელსაც ეწინააღმდეგებოდენ არა ეკონომიური პირობები, არამედ პოლიტიკური დაწესებულებანი. ისინი ცდილობდენ შეეცვალათ არა წარმოების ფორმა, არამედ ზოგიერთი შემავიწროებელი კანონები; მათ არ უნდოდათ მომსპარიყო სახელოსნო სისტემა წარმოებისა და ახალი, უკეთესი შემოეღოთ; ისინი ცდილობდენ სახელოსნო შრომის ორგანიზაცია შეეცვალათ და გადაესხვაფერებიათ. ისინი მეტათ მტრულათ უყურებდენ ამქრის ოსტატებს. ამავე დროს კი სულით და გულით შეტრფოდენ ოსტატათ გამხდარიყვენ, სხვა ოსტატებთან დამჯდარიყვენ, რომელთა რიცხვიც თანდათან იზრდებოდა და მატულობდა.

რევოლიუციის დაწყებამდე სამეფოში იყო ისეთი ადგილები, სადაც ამქრული წყობილება არ იყო შემოღებული. თავდაპირველათ თითონ ამქრული ორგანიზაცია თითონ ქალაქებში განმტკიცდა და გამაგრდა; სოფლებში არ იყო გავრცელებული. ზოგიერთი სოფლები, რომლებიც ქალაქების მახლობლით მდებარეობდენ, თუმცა შეუერთდენ ქალაქებს, მაგრამ დღევანდლამდე შეინარჩუნეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. როცა ლიუდოვიკო XIV მეფობის დროს მძვინვარებდა საშიშარი სიღატაკე და სიღარიბე იმ ხელოსანთა შორის, რომლებიც ამქარს არ ეკუთვნოდენ და რომლების ზიზღი ამქრის წინააღმდეგ საკმარისათ გაიზარდა, მთავრობამ მოინდომა დაემშვიდებია აღელვებული ხალხი იმით, რომ გააფართოვა ამ ადგილების პრივილეგიები, განსაკუთრებით ბედნიერ ყოფაში დარჩა პარიჟის უბნები: სენტანტუანის ⁄ du Temple. ყველა ქარგალი, რომელიც ოცნებობდა დამოუკიდებლობაზე და არავითარი იმედი არ ქონდათ ამქრის ოსტატათ გამხდარიყო, გაეშურა ამ მიდამოებისკენ. რამდენათ ძლიერდებოდა მათი რიცხვი, იმდენათ იზრდებოდა მათ შორის კონკურენცია, იმდენათ მეტი უკმაყოფილებით ემორჩილებოდენ იმ ზომებს, რომლებიც შემოღებული იყო სახელმწიფოს მიერ. იმდენათ მეტ ზიზღს და შურს გრძნობდენ იმ ამქრის ოსტატთა მიმართ, რომლებიც შეძლებულათ ცხოვრობდენ. იქ, სადაც ამქრული წყობილება არ იყო შემოღებული, კაპიტალისტები აშენებდენ მანუფაქტურას. აქ ისინი ყველაზე უფრო ადრე იშოვიდენ იმას, რასაც მეტად საჭიროებდენ—გამოცდილ და მცოდნე მუშებს, რომლებსაც, როგორც უნდოდათ, ისე გაყვლეფდათ. ამ გვარათ სხვა ათას წვრილ ოსტატთან და ქარგალთან ერთათ აქ ვხვდებით აუარებელ დაქირავებულ მუშებს, რომლებიც ხელოსნებიდან იყვენ გამოსულნი და რომლებიც უერთდებოდენ მათ აზრებს. პროლეტარიატი, როგორც დამოუკიდებელი კლასი, რევოლიუციამდე არ არსებობდა.

ამ ელემენტებს უერთდებოდენ სხვებიც, რომლების ინტერესებიც არ ეწინააღმდეგებოდენ მათ ინტერესებს, როგორც მაგალითად წვრილი მოვაჭრენი და სხვ. თუმცა ძლიერ აჭრელებული იყო ეს მასსა, მაგრამ მაინც მას ერთი ქონდა მისწრაფება და ლტოლვილება. ის გამსჭვალული და გაჟღენთილი იყო საშიშარი სიძულვილით არა მარტო პრივილეგიების მექონე წოდების მიმართ: არისტოკრატიის, სამღვდელოების და ამქრის ოსტატების, არამედ ბურჟუაზიის მიმართაც, რომელიც ყვლეფდა მას როგორც ვაჭარი, ჩარჩ-ბაცაცი და წურბელი. მაგრამ მაინც მიუხედავათ ამ სიძულვილისა, რომელიც ხანდახან გამოხეთქდა თავის მწვავე შედეგებით, სანკიულოტები ისეთი სოციალისტები იყვენ, როგორც დღეს მაგალითად ანტისემიტებია. რასაკვირველია, ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ სანკიულოტები და ანტისემიტები სხვა რამეებშიაც ერთმანეთს გავდენ. ანტისემიტიზმი იმდენათ უახლოვდება სანკიულოტობას, როგორც უილაჯო გაჯავრება დახავსებულ მოხუცებულისას, რომლითაც ის ზიზღს უცხადებს ცხოველ-მყოფელ აღფრთოვანებას და მოქმედებას მხნეობით სავსე ახალგაზდობისას.

სრულიათ არ უნდა ეს მოდეს კაცს საქმის გარემოება, რომ სანკიულოტები პროლეტარებათ ჩასთვალოს, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, შეუფარდოს ისინი მსხვილ მრეწველობაში დაქირავებულ მუშებს და მიაწეროს მათ უკანასკნელთა ტენდენციები, როგორც ჩადიან პრუსიის შკოლის ისტორიკოსები ზიბელიდან დაწყებული ონკენ და მარელგოლცამდე. ამგვარი აბდაუბდობა და გაუგებრობა ძლიერ შეუშლის ხელს გაცნობას არა მარტო ამ ელემენტებისას, არამედ მთელი რევოლიუციისას, რომელზედაც დიდი გავლენა ქონდათ მათ. ძველ სახელმწიფოს პოლიტიკამ ერთათ მოუყარა თავი საფრანგეთის ყველა ძლიერ და თავდადებულ ელემენტებს პარიჟში, რომლებიც არას დაკარგავდენ და ყველაფერიკი უნდა შეეძინათ. გასაკვირიც არაა, რომ პარიჟის ეს ადგილები სული და გული იყო რევოლიუციის. ისინი გაბატონდენ პარიჟზე და პარიჟის შემწეობით—მთელ საფრანგეთზე. მათთვის რევოლიუცია არ დასრულებულიყო მარტო პრივილეგიების უარის ყოფით: ისინი კიდევ შორს უნდა წასულიყვნენ და რევოლიუცია მუდმივათ უნდა აღეარებინათ. მათ არ შეეძლოთ დამშვიდებულიყვნენ, იმისთვის რომ მათი მისწრაფებანი ეწინააღმდეგებოდენ ნამდვილი და სწორ მსვლელობას კაპიტალისტურ ფორმის განვითარებისას, რომელსაც თითონ გაუკაფეს გზა; ამასთან მათ არ შეეძლოთ კაპიტალისტური ფორმა წარმოებისა შეეცვალათ და სხვა უმაღლესი ფორმა შემოეღოთ. საამისოთ დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. მათი მიზნის განხორციელება—ყვალას და თითეულის კეთილდღეობა, შრომის საფუძველზე აღმოცენებული,—შეუძლებელი იყო, ვერ თავსდებოდა კაპიტალისტურ მეურნეობის მსწრაფლ განვითარებასთან ერთათ. მხოლოთ მუდმივ, განუწყვეტელ რევოლიუციას თუ შეეძლო ხელი შეეშალა მოზარდ კაპიტალისტურ წარმოებისთვის, მით რომ ძალით ჩაერევოდა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში, დააწესებ და მაქსიმალურ ფასებს აუცილებელ საჭირო საგნებზე, დასჯიდა სპეკულიონტებს, ჩარჩ-ბაცაცებს, დროიძეებს, მოიჯარადრეთ... მაგრამ ამხედრებულიყვნენ ბოროტების ძირის-კაპიტალისტურ წარმოების—წინააღ

*) ჰენრიხ მესამემ 1581 წელს გამოაცხადა, რომ არავის არა აქვს ნება ოსტატათ გახდომისა, ვინც არ იყიდის მეფესაგან ამ წოდების მოწმობასო.

მდეგ მათ არ შეეძლოთ: ის ცხრა თავიანი დევი გახდა, რომელსაც რამდენათ მეტ თავს ჭრიდენ, იმდენათ ჩქარა ახალ-ახალი თავები ესხმოდა. სანკიულიტების მდგომარეობა მეტათ უნუგეშო იყო. ისტორიამ არგუნა მათ უფლება, მაგრამ არავითარი საშვალება არ მიუცია მტკიცე და გამოსადეგი დაწესებულებები შემოეღოთ.

გაწყვეტა კავშირის რევოლიუციასან ნიშნავდა იმას, რომ ისინი თავის ნებით უნდა დამორჩილებოდენ იმ სიღატაკეს, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება უმზადებდა ხელოსნებს, წვრილ ვაჭრუკანებს და პროლეტარებს, ეს ნათელი იყო, როგორც მზიანი დღე. მათ ეს შეიგნეს. მათ დარჩენოდათ ერთათ ერთი: „ცდილიყვენ შეენარჩუნებიათ უფლება. რამდენაი მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდენ ისინი თანამედროვე წარმოების განვითარების გამო, რამდენათ მათი მისწრაფებანი ეწინააღმდეგებოდენ სხვა დანარჩენ კლასების ინტერესებს, იმდენათ მათ უნდა ესარგებლათ ერთათ ერთი შერჩენილი იარაღით—ტეროორით; იმ იარაღით, რომლის ხმარება აუცილებელი იყო სამხედრო წესების გაძლიერების გამო.

მარა ყოველთვის და მუდამ განაგო და მართო ქვეყანა ერთნაირი საშუალებებით არ შეიძლება. განუწყვეტელი რევოლიუცია ნიშნავდა განუწყვეტელ ბრძოლას: საფრანგეთი ებრძოდა გარეშე სახელმწიფოებს, პარიჟი-პროვინციებს, გაღატაკებული უბანი—შეძლებულს. დაბოლოს ეს ნიშნავდა შინაურ ბრძოლას „რევოლიუციონურ მასსაში“. განუწყვეტელ და მუდმივ ბრძოლაში რევოლიუცია დაიქანცა და ადგილი დაუთმო ბურჟუაზიას, რომელიც მიუხედავათ ათასი დაბრკოლებისა, საათობით იზრდებოდა. მან მიიმხრო შიშველი და მშიერი ხალხი და ჯარიც დაიახლოვა. ჯარი გლეხი კაცებიდან შედგებოდა, რომლების ინტერესები ძლიერ განსხვავდებოდენ წვრილ მოქალაქეთა და პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

ამ დამარცხებას, რომელსაც თან მოყვა, 27 ივლისს 1794 წელს, რობესპიერის გადაყენება, და რომელსაც მაწერეს ხელი და დაამტკიცეს 24 მაისს 1795 წელს,— ამ დამარცხებას უწოდებენ რევოლიუციის დამხობას. ვითომც ისტორიული მოვლენა, ნამდვილ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე აღმოცენებული ფაქტი შეიძლებოდეს „დაემხოს“! რომელიმე საქმე, კერძო პირების მოფიქრებული, შეთქმულობა, აჯანყება, შეიძლება მართლაც დამხობით გათავდეს, მარა არას შემთხვევაში ეს არ ითქმის ისტორიულ კანვითარების შესახებ, რომელიც მხოლოთ მაშინ იქცევა რევოლიუციათ, როცა ის დასრულებულია: რევოლიუცია, რომელიც დაემხო, რევოლიუციათ არ ჩაითვლება. რევოლიუციის დამხობაზე ლაპარაკი ისეთი სისულელეა, როგორც ქარიშხალის დამხობაზე ბაასი. ქარიშხალის დროს შეიძლება დაიღუპოს ეს თუ ის გემი, რევოლიუციის დროსაც ასე მოხდება—დამარცხდება ეს თუ ის პარტია. ერთი რომელიმე პარტია რევოლიუციას შევუფარდოთ და მივაწეროთ მას ის მისწრაფებანი, რომლითაც გამსჭვალული იყო ერთი რომელიმე პარტია,—ეს არ შეიძლება.

იაკობინცები და პარიჟის ზოგიერთ უბრის მცხოვრები დამარცხდენ. იმისთვის რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი რევოლიუციამდე არ წარმოადგენდენ ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო წვრილ მოქალაქეს, ხალხს და პროლეტარიატს ფეხი მოემაგრებია, უნიადაგო უნიადაგო გამოდგა ყველა ის ღონისძიებანი, რომლების წყალობით ისინი ლამობდენ შეეჩერებიათ კაპიტალისტური რევოლიუცია. მაგრამ მათ მოღვაწეობას ტყუილა უბრალოთ არ ჩაუვლია. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩაპიტალისტთა სხვა და სხვა ფრაქციები დაინტერესებული იყვენ დაეცვათ და სრულიათ არ მოესპოთ ძველი სახელმწიფო წყობილება: რევოლიუციის დროს; მათ რაღაც ცოტ-ცოტა უნდა დაეკარგათ, ამბოხებულ რევოლიუციას ასე გულ-ცივათ ეკიდებოდენ. რომ მოესპოთ ფეოდალური შევიწროებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ჯარსა და ეკლესიაში,—ამისთვის სულ სხვა ხალხი იყო საჭირო, ისინი, ვინც რევოლიუციის დროს არას დაკარგავდენ, რომელთაც არავითარი კავშირი არ ქონდათ უმაღლეს წრეებთან, რომლებსაც ექნებოდათ ღონიერი მკლავი და მაჯაგი მუშტები. ასეთები იყვნენ გლეხკაცები, ამქარს გარეშე ხელოსნები და პროლეტარები. მათ ხელათ დაიკავეს სატახტო ქალაქი პარიჟი, დაიმორჩილეს მთავრობა, მეფე, შემოიღეს ხალხის წარმომადგენლობა. შიმშილით წაქეზებული ისინი სულ წინ, წინ გარბოდენ. თავდაპირველათ მათ მიუძღოდათ ბურჟუაზია; მარა ამ ბოლოს, როცა ის შეჩერდა, მათ გადათელეს ის და გასწიეს. ისინი წარმოადგენენ იმ ძალას, რომელმაც შესძლო აღეგავა საფრანგეთის მიწიდან ფეოდალური სახელმწიფო ისეთი სისწრაფით, რომლის მგზავსიც არ მომხთარა არც ერთ ქვეყანაში. მანვე გაასწორა და დაამზადა ნიადაგი, რომელზედაც დირექტორიის და ნაპალეონის გამგეობის დროს შეუდარებელი სისწრაფით უნდა აღმოცენებულიყო წარმოების ახალი ფორმა, ახალი საზოგადოება. რაიც არ შეეძლო გაეკეთბია კაპიტალისტებს, ეს შეასრულეს თავიანთ ნების წინააღმდეგ კაპიტალისტების მოსისხლე მტრებმა.

საფრანგეთის და განსაკუთრებით პარიჟის წვრილ მოქალაქეთა რევოლიუციონური ბრძოლა თუმცა დამარცხებით დასრულდა, მარა მაინც უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. ძლიერება, რომელიც ამ წოდებამ რევოლიუციის დროს გამოიჩინა, ის დიდებული როლი, რომელსაც ის აქ თამაშობდა,—ყველა ამან მოამზადა ის თავის თავის შეგნება, ის პოლიტიკური სიმწიფე, რომელსაც დღესაც დიდი გავლენა აქვს ცხოვრებაში. იაკობინცების ტრადიციები ახალგაზდობის შარავანდედათ გარს შემორტყმიან საფრანგეთში, ბურჟუაზიულ რადიკალიზმს; თუმცა ის მოხუცებულია, მარა თავის მხნეობით და ვაჟკაცობით გააცილა თავის მოძმეთ კონტინეტზედ. ამ ტრადიციების წყალობითაა, რომ ნაწილი საფრანგეთის პროლეტარიატისა ბურჟუაზიულ მისწრაფებას ვერ გასცილებია. თუმცა ამ ბოლო დროს ეს ნაწილი თანდათან სუსტდება და მცირდება.

მხოლოთ ჩვენი ისტორიკოსების შეშინებული წარმოდგენა თუ აიძულებს მათ ყველა იაკობინცი კომუნისტათ მოეჩვენოს. ნამდვილათ კი სახელდობრ იაკობინცების ტრადიციები აბრკოლებენ საფრანგეთში აღორძინდეს ძლიერი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია.

(შემდეგი იქნება)

დრ. რედაქტორი ნ. ა. ალექსაეგ-მესხიეგი. გამოქცემელი ან. მ. თ.-წერეთლისა.

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

1) „ლევან გატოზნიშვილი“

თხზულება თ. ხუსკივაძისა. ფასი 10 კაპ.

2) „ჯიანეტა“

თარგ. ა. ი. ნიკოლაძისა. ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კოსკიდან (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდან 20 იანვრამდე, მას დაუთმობა 30% დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა, ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა I და II ნაწ. დი დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით. იბეჭდება და მალე გამოვა გ. წერეთლის თხზულებების. III ტო

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Января 1903 г. Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ д. армянск. дух. семинаріи.